



**ცესკო**

საერთაშორისო პოლიტიკის  
აქტივობების ცენტრი



## საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

27 ოქტომბერი 2013 წელი

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის  
თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელებული  
ღონისძიებების შესახებ

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი .....	3
2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა.....	4
2.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა განათლება .....	4
2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება.....	7
2.3. ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია.....	9
2.4. შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველებთან რეგიონებში .....	12
2.5. სტატისტიკური მონაცემები .....	13

## 1. შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მიერ 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით (არ შედიოდა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), ეროვნული უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16,2%-ს შეადგენს. ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,5%) და სომხები (5,7%). მათი დიდი რაოდენობა ცხოვრობს ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან. საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ რუსები, ოსები, ბერძნები, ებრაელები, აფხაზები, ქურთები და ბოშები.<sup>1</sup>

ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად მუშაობს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. 2012 წელს ცესკოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის საარჩევნო პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა 2012–2014 წლების სამოქმედო გეგმა.

სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ცესკოს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ცესკოს ორი წევრი და ადმინისტრაციის თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, კერძოდ:

- სახალხო დამცველის ოფისი;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში;
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP);
- საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG);
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA);
- აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი (UAWG);
- „დემოკრატ მესხთა კავშირი“;
- კოალიცია - სამოქალაქო განვითარებისთვის;
- სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი;
- საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი;
- ეთნოსთაშორისო თანამშრომლობის და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი;
- სსიპ - საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

<sup>1</sup> „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები“-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი.

## **2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა**

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობისა და მათთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებები:

- 2.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა განათლება;
- 2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება;
- 2.3. ეროვნული უმცირესობების ენებზე საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა;
- 2.4. შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში.

### **2.1. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა განათლება**

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, ცესკოსთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დააფინანსა 5 არასამთავრობო ორგანიზაცია:

„ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „აქტიური ახალგაზრდა ამომრჩეველთა ქსელი - დემოკრატიული არჩევნებისათვის“, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი, ბორჯომი, ახალციხე და ნინოწმინდა) მცხოვრები 18-დან 30-წლამდე სომეხი ახალგაზრდა ამომრჩეველი. აღნიშნულ რეგიონში მცხოვრებ 180 ახალგაზრდას ჩაუტარდა ტრენინგ-სემინარი არჩევნებისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ.

I. „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის სამონიტორინგო ჯგუფი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკურ აზერბაიჯანელ ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ მარნეულის რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოქალაქეები. პროექტის ფარგლებში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი და გავრცელდა ბუკლეტები ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

II. „საზოგადოებრივი დამცველი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების როლის გააქტიურება საარჩევნო პროცესებში“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონში (წალკა, გარდაბანი, ლაგოდეხი და თელავი) მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ქალი ამომრჩევლები. პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა/დისკუსია. სოფლის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საარჩევნო საკითხებსა და პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, რეგიონული ტელევიზიებით გაშუქდა სამი სატელევიზიო გადაცემა.

III. „გენდერული კულტურის ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ჩემი პირველი არჩევნები“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში (თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი) მცხოვრები ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის (უფროსკლასელები), ჩატარდა ლექცია/სემინარი საარჩევნო თემატიკაზე.

IV. „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ამომრჩევლის როლის გააქტიურება“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქვემო ქართლის, მარნეულის, (26 სოფელი) ბოლნისის (15 სოფელი), დმანისის (13 სოფელი), კახეთისა და, საგარეჯოს რაიონებში (სოფ. 7 სოფელი) მცხოვრები აზერბაიჯანელი ამომრჩევლები. პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა/დისკუსია. სოფლის მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საარჩევნო საკითხებსა და პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე, რეგიონული ტელევიზიებით გაშუქდა სამი სატელევიზიო გადაცემა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საგრანტო კონკურსის საშუალებით, დააფინანსა 6 არასამთავრობო ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად განხორციელდა ბოშათა თემის ინფორმირების კამპანია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

I. „ჯანმრთელი სამყარო“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ბოშათა თემის ინფორმირებულობა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ თბილისსა და გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში კომპაქტურად ჩასახლებული ბოშათა თემის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

II. „Post-ალიონი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „გურიის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები რელიგიური უმცირესობების (მუსულმანი) ქალების ინფორმირება და გააქტიურება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ გურიის, ოზურგეთის რაიონის (სოფ. ნასაკირალი), ჩოხატაურისა და (სოფ. ზოტი) და ლანჩხუთის რაიონებში (სოფ. აცანა) მცხოვრები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი (მუსულმანი) ქალები. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საარჩევნო თემატიკაზე, მოეწყო არჩევნების თეატრალიზებული ინსცენირება და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები. თითოეული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთ „გურია ნიუს“-ში.

III. „კავკასიური მოზაიკა“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „მე ვირჩევ პრეზიდენტს“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, კახეთის რეგიონში (ლაგოდეხის რაიონის სოფ. არემფერანი, ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირი) მცხოვრები ოსი და შერეული, ქართულ-ოსური ოჯახები. პროექტის ფარგლებში, გაიმართა თეატრალური წარმოდგენა საარჩევნო თემატიკაზე. ასევე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, გავრცელდა პლაკატები/ბუკლეტები ქართულ და ოსურ ენებზე.

IV. „ქალები მომავლისთვის“ მიერ განხორციელებული პროექტის „მიდი, აირჩიე“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ, თელავის (სოფ.ყარაჯალა), საგარეჯოსა (სოფ. იორმულანლო, დუზაგრამა, ლამბალო, თულარი, კაზლარი) და ლაგოდეხის რაიონების (კაბალი, განჯალა, უზუნთალა) სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანელი ამომრჩეველი. პროექტის ფარგლებში მოეწყო როლური, თეატრალიზებული ფლემზობი საარჩევნო თემატიკაზე. ასევე, მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურა: „ამომრჩევლის მეგზური“.

V. „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „ეთნიკურ უმცირესობათა შესაძლებლობების განვითარება“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ კახეთის რეგიონში (საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი) მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში მოეწყო (იმიტირებული) კენჭისყრის დღის ინსცენირება. მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ბროშურა საარჩევნო თემატიკაზე.

VI. „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“-ს მიერ განხორციელებული პროექტის „პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკურად ოსი, ქისტი და ნატურალიზებული ჩეჩენი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება, განათლება, ცნობიერების ამაღლება და მოტივირება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ახმეტის რაიონის 12 სოფელში მცხოვრები ეთნიკურად ოსი, ქისტი, ადგილობრივი ქისტი ქალები, 18 წელს მიღწეული ახალგაზრდები და ნატურალიზებული ჩეჩენი ლტოლვილები. პროექტის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოეწყო იმიტირებული არჩევნები. შეხვედრის მონაწილეებს ასევე, შეეძლო უფასო იურიდიული კონსულტაციების მიღება საარჩევნო თემატიკაზე.

ცესკოსთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, დააფინანსა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია:

I. „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“-ს პროექტის „წავიდეთ არჩევნებზე“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქი, ნინოწმინდა) მცხოვრები სომეხი ამომრჩეველები. პროექტის ფარგლებში დაიდგა და ჩაიწერა ელექტორალური ხასიათის თეატრალური სკეტჩი, რომელიც განთავსდა ტელეკომპანია „ატვ-12“-სა (ახალქალაქი) და „ფარვანა“-ს (ნინოწმინდა) ეთერში.

II. „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“ს მიერ განხორციელებული პროექტის „მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არჩევნებამდე“ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ კახეთსა (ლაგოდეხი) და ქვემო ქართლში (მარნეული) მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩეველები. პროექტის ფარგლებში 140 ახალგაზრდას ჩაუტარდა ტრენინგები და მათი მონაწილეობით მოსახლეობას დაურიგდა სამახსოვრო ფლაერები. ასევე, მარნეულისა და ლაგოდეხის ადგილობრივი ტელევიზიების ეთერით გაშუქდა 2 ტელე-გადაცემა თემაზე: საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობა.

## 2.2. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა ცესკოს 11 სარეკლამო რგოლი, რომელიც განთავსდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების შემდეგი ტელევიზიების ეთერით:

- ახალციხე - ტელეკომპანია „მე-9 არხი“;
- ახალქალაქი - ტელეკომპანია „ატვ 12“;
- ნინოწმინდა - ტელეკომპანია „ფარვანა“;
- ბოლნისი - ტელეკომპანია „ბოლნელი“;
- რუსთავი - „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (რუსთავი, მარნეული, გარდაბანი);
- მარნეული - ტელეკომპანია „მარნეული TV“.

ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)) ბანერში „ეთნიკური უმცირესობები“, განთავსდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ნათარგმნი საარჩევნო მასალები. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე განთავსდა სოციალურ ქსელში, ცესკოს ოფიციალურ Facebook გვერდზე.

ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)), ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები, ხელმისაწვდომი იყო კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (*გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებული ამომრჩევლების შესაბამისად*).

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს პირადი მონაცემების (ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბ. თარიღი, რეგისტრაციის ადგილი) მიხედვით, ორ ეტაპად დაურიგდა ამომრჩევლის მონაცემთა ბარათი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ამომრჩევლის ინფორმირება კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის საარჩევნო ოლქისა და უბნის ადგილმდებარეობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლის მონაცემები იქნებოდა არაზუსტი ან არასწორი, დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს კონტაქტ-ცენტრის ოპერატორების დახმარებით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ამომრჩევლის მონაცემთა ბარათთან ერთად მე-2 ეტაპზე მოსახლეობას დაურიგდა ამომრჩევლის სამახსოვრო ფლაერი (სომხური და აზერბაიჯანული), რომელშიც აღწერილი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ივნისისა და ივლისის თვეში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვემო-ქართლში, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობების

წარმომადგენლების ინფორმირებულობის დონის შესწავლა. კვლევის ერთ-ერთი კომპონენტის „ინფორმირებულობის დონე სხვადასხვა საკითხების შესახებ“ მიხედვით, 3 ბალიან შკალაზე, არჩევნების შესახებ ინფორმირება - შეფასდა 2.1%-ით. (მაქსიმალური შეფასება იყო 2.3%, ხოლო მინიმალური 1.9%).

### **სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრთა ტრენინგი/შეხვედრა**

- 2012 წელს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სახალხო დამცველს (სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სახელით) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე: არჩევნები/საპრეზიდენტო არჩევნები; საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი უფლებამოსილება; კენჭისყრის დღის პროცედურები; საჩივრები და მისი შეტანის წესი, დავების განხილვა. ტრენინგი ჩატარდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ტრენინგების მიერ;
- 2013 წლის 23 ოქტომბერს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სახალხო დამცველსა და სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებს შორის გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაზე ცესკო-მ წარადგინა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შუალედური ანგარიში.



### 2.3. ეროვნული უმცირესობების ენებზე ნათარგმნი საარჩევნო დოკუმენტაცია

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა 3655 საარჩევნო უბანი, მათ შორის 338 უბანი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში.

ეროვნული უმცირესობებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, კომისიის 1502 სომეხი და 996 აზერბაიჯანელი წევრისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი სახის საარჩევნო დოკუმენტაცია:

დასახელება	ქართულ-სომხური/ რაოდენობა	ქართულ- აზერბაიჯანული/ რაოდენობა
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია	1700	2400
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	150	200
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს	150	200
ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები	750	1000
საარჩევნო ყუთის და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები	150	200

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები	300	400
ტესტები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებისთვის	450	600
შშმ ამომრჩეველთან კენჭისყრის უბანში მოპყრობის შესახებ ინსტრუქცია	138 (უბნების რაოდენობის მიხედვით)	204 (უბნების რაოდენობის მიხედვით)
საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის გამოყენების შესახებ ინსტრუქცია	138 (უბნების რაოდენობის მიხედვით)	204 (უბნების რაოდენობის მიხედვით)
სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“	100 CD დისკი (სომხურ ენოვანი სუბტიტრებით)	100 CD დისკი (აზერბაიჯანულ ენოვანი სუბტიტრებით)

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველებისთვის კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ითარგმნა და დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია:

დასახელება	ქართულ-სომხური/ რაოდენობა	ქართულ- აზერბაიჯანული/ რაოდენობა
საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გამოსაკრავი, კენჭისყრის შენობისა და პროცედურების ამსახველი პოსტერი	150	200
ამომრჩეველთა სამახსოვრო/ფლაერი	22000	4500
ბიულეტენის შევსების წესი	138 (უბნების რაოდენობის მიხედვით)	204 (უბნების რაოდენობის მიხედვით)
ამომრჩეველის მონაცემთა ბარათი (I-(II ეტაპი)	84 430	213 295

ამომრჩეველთა ერთიანი სია	ქართულ - სომხური ქართულ აზერბაიჯანული
საარჩევნო ბიულეტენები	
ამომრჩეველთა სამაგიდო სია	

საარჩევნო დოკუმენტაცია ითარგმნა ცესკოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) თანამშრომლობით; ხოლო საარჩევნო დოკუმენტაცია დაიბეჭდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

## 2.4. შეხვედრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებთან რეგიონებში

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ, შემდეგ რეგიონებში:

- ქ. მარნეული (სოფ. სადახლო);
- წალკა (სოფ. აიაზმა);
- ბოლნისი (სოფ. ფარიზი, ცურტავი და ნახიდური);
- გარდაბანი (სოფ. ქესალო);
- ქ. ახალციხე.

აზერბაიჯანელი და სომეხი წარმომავლობის ამომრჩევლებმა მიიღეს ინფორმაცია ცესკოს მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართვის მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებებისა და განხორციელებული აქტივობების, ასევე, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.


ასევე, შეხვედრები გაიმართა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ოსი, ჩეჩენი, ქისტის და ბოშა ამომრჩევლებისთვის:

- საქართველოში მცხოვრები ბოშების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფ. გაჩიანში გაიმართა საინფორმაციო სახის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბოშათა თემის მოტივაციის ამაღლება და საარჩევნო პროცესებში მათი გააქტიურება;
- ჩეჩენი და ქისტი მოსახლეობისთვის სოფ. დუისში (პანკისის ხეობა) ჩატარდა საინფორმაციო კამპანია სადაც, შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კენჭისყრის დღისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ;
- ყვარლის რაიონის სოფ. მთისძირში, გაიმართა შეხვედრა ეთნიკურად ოსი და შერეული (ქართულ-ოსური) ოჯახების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას საარჩევნო გარემოს, არჩევნების, ხმის მიცემის წესებისა და პროცედურების შესახებ.


## 2.5. სტატისტიკური მონაცემები

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული უბნების რაოდენობა საარჩევნო ოლქების მიხედვით

საქართველოს მასშტაბით, 73 ოლქისა და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შექმნილი 3655 საარჩევნო უბნის მიხედვით, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიქმნა - 338 საარჩევნო უბანი.




ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 18 კომისიის წევრი<sup>2</sup>:



**შენიშვნა:** საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ წევრთა რაოდენობამ შეადგინა - კომისიის 22 წევრი.


საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის არჩეული/დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობამ შეადგინა - 47 809 წევრი. მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა საერთო რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - 2541 წევრი.



<sup>2</sup>საოლქო საარჩევნო კომისიებში არ არის წარმოდგენილი აზერბაიჯანელი წარმომავლობის წევრი.

**შენიშვნა:** საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კომისიის წევრთა რაოდენობამ საუბნო საარჩევნო კომისიებში შეადგინა - კომისიის 2774 წევრი.

აზერბაიჯანული წარმომავლობის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და მოადგილის რაოდენობამ საარჩევნო ოლქების მიხედვით შეადგინა - კომისიის 222 წევრი.



სომხური წარმომავლობის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და მოადგილის რაოდენობამ საარჩევნო ოლქების მიხედვით შეადგინა - კომისიის 315 წევრი:

